ТГА сложилась сравнительно недавно и ей как другим агломерациям Грузии весьма характерен высокий темп роста населения, территории и промышленного потенциала. Как отмечает Джашвили В. Ш. (3, стр. 189), «за четверть века с 1950-х годов до середины 1974 г. границы агломерации сильно продвинулись как на восток вдоль Кахетинской железнодорожной линии, так и на юг — в направлении равнины Нижней Картли». В настоящее время ТГА определилась в более широких границах, включая по Гуджабидзе В. А. (2, стр. 70—72), Болниssкий, Гардабанский, Душетский (до Жинвали), Каспский, Марнеульский, Сагареджойский, Тетрицкарайский и Тианетский (до Тианети) административные районы.

С нашей точки зрения сельскохозяйственные зоны, являющиеся с/х придатком промышленного ядра агломерации, из-за своей основной функции могут выйти за пределы агломерации и охватить большую территорию. Поэтому вполне оправдано включение в пределы ТГА полностью Душетского и Тианетского районов. Сельскохозяйственные зоны, вовлеченные в «орбиту» промышленного ядра, приобретают некоторые специфические черты, которые несомненно отражаются и на характере использования земельного фонда агломерации. Земельный фонд ТГА мало изучен. Весьма общие данные о земельном фонде пригородной зоны г. Тбилиси приводятся в отчетах НИИ экономики и планирования народного хозяйства и в региональных работах по Восточно-центральному экономическому району, частью которого является ТГА. Вышесказанное усиливает важность самостоятельного исследования географии земельного фонда ТГА.

## 1. ОБЩИЕ ДАННЫЕ О ЗЕМЕЛЬНОМ ФОНДЕ ТГА

Общий земельный фонд сельскохозяйственной зоны ТГА по данным 1980 г. исчисляется 1289,8 тыс. га, что составляет 18,8% земельного фонда республики. Земельный фонд агломерации на 129,0 тыс. га превосходит ее территорию. Это значит, что 10% земельного фонда агломерации расположено за ее пределами. Свыше 95% этих земель составляют пастбища, которые в долгосрочное пользование закреплены за хозяйствами агломерации. Свыше 2/3 земель используется для нужд сельского хозяйства, менее 1/3 земель предоставлена лесным организациям. Остальную часть земель (79,9%) составляют земли населенных пунктов, промышленности, транспорта и другого несельскохозяйственного назначения. О характере использования земельного фонда ТГА свидетельствуют данные о его структуре. В границах ТГА почти половину территории (49,5%) составляют сельскохозяйственные угодья, в то время как в республике доля сельскохозяйственных земель составляет лишь 39,7% земельного фонда республики. Лесами и кустарниками занято немного более 1/3 территории ТГА. Сравнительно значительную часть территории (14,9%) составляют неиспользуемые в сельском и лесном хозяйствах земли. В республике на их долю приходится 17,6%. Наибольшая часть сельскохозяйственных земель ТГА сосредоточена в Душетском (25,6) районе, наименьшая — в Мцхетском (4,7%), в Болниссском (5,5%) и Каспском (6,6%) районах. В зависимости от природных и экономических условий удельный вес сельскохозяйственных земель в общей площади по отдельным административным районам колеблется от 33,9% до 71,7%. Наиболее низким показателем характеризуется Мцхетский район. Следующую группу составляют Болниssкий, Тианетский, Каспский, Тетрицкарайский, Душетский районы, где площади сельскохозяйственных земель составляют от 38 до 50%. В перечисленных районах сравнительно большие площади заняты лесными массивами и горными хребтами. К районам с наиболее высоким процентом сельскохозяйственных земель (свыше 50%) относятся Гардабанский, Сагареджойский и Марнеульский административные районы.

Несмотря на достаточно высокий удельный вес сельскохозяйственных угодий в общей площади, ресурсы обрабатываемых земель ТГА сравнительно невелики, что видно из данных о распаханности территории. В ТГА под пашней занято 14,7%. В республике аналогичный показатель в 1,5 раза ниже и составляет 9,6%. По степени распаханности территории выделяются Марнеульский, Гардабанский, Сагареджойский административные районы, т. е. районы интенсивного земледелия.

Для выявления резервных территорий под обработку нами была рассчитана потенциальная земледельческая территория.

Земледельческую территорию составляет безлесная территория до 2000 м. высоты н. у. м., имеющая уклоны до 20°, т. к. известно, что участки с уклонами более 20° совершенно непригодны для земледелия. Для ее расчета были использованы листки топографических карт 1:100 000 масштаба. Прежде всего по административным районам ТГА были составлены карты уклонов поверхности со следующей градацией уклонов: до 2°, 2—10°, 10—20° и свыше 20°. Составленные карты послужили основой для получения количественных показателей распределения площадей с различными уклонами.

В результате расчетов получена потенциальная земледельческая территория, равная 593,0 тыс. га, что составляет 51,0% территории ТГА. Если из этой территории изъять земли несельскохозяйственного назначения, то окажется, что в настоящее время для нужд земледелия может быть использовано лишь менее половины территории ТГА.

Сопоставление площади обрабатываемых земель к рассчитанной земледельческой территории показало, что в земледельческих целях используется лишь немногим более 1/3 территории. Интенсивность использования земледельческой территории подвержена региональным различиям. Более высокими показателями интенсивности использования выделяются Мцхетский и Болниеский районы, где процент использования земледельческой территории колеблется между 40,7—44,6%. Самый низкий показатель интенсивности использования территории отмечен в Душетском районе (26,3%). В Каспском, Гардабанском и Тианетском районах аналогичный показатель ниже, чем средний по агломерации, а в Марнеульском и Сагареджойском немного выше. Исходя из вышеприведенного явствует, что в ТГА имеются достаточные резервы для освоения земель под обработку.

О наличии сельскохозяйственных земельных ресурсов можно судить по показателям землеобеспеченности, который выявляется при определении среднедушевой нормы сельскохозяйственных угодий и в особенности пашни.

ТГА характеризуется более низким нежели республика, в целом, показателем обеспеченности одного сельского жителя сельскохозяйственными землями, что касается пашни, то здесь норма одинаковая и составляет 0,2 га на одного сельского жителя.

Имеется огромная разница в землеобеспеченности отдельных административных районов ТГА. Высокий удельный вес естественных кормовых угодий в общей площади сельскохозяйственных земель и сравнительно низкая степень заселенности территории в горном Душетском районе обусловили высокую среднедушевую норму обеспеченности сельскохозяйственными землями. В то же время среднедушевая норма пашни в данном районе довольно низкая. В противоположность этому большие площади обрабатываемых земель при низкой степени заселенности (Сагареджойского, Тетрицкарского и Тианетского районов) обусловили высокую среднедушевую норму пашни. Здесь она в 3—4 раза превосходит аналогичный среднереспубликанский показатель.

Плотнозаселенные районы — Гардабанский, Марнеульский, Болниеский, Каспский, являющиеся основными районами развития интенсивного земледелия, по своим показателям отстают от вышеперечисленных районов.

Низкий уровень землеобеспеченности ТГА еще более стимулирует максимальное развитие трудоемких, интенсивных культур, дающих на небольшой площади продукцию «большой стоимости».

## 2. СТРУКТУРА СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ УГОДИЙ ТГА

Природные и социально-экономические условия обусловили своеобразие структуры сельскохозяйственных угодий ТГА.

Более 2/3 сельскохозяйственных земель составляют пастбища и сенокосы и лишь 25,9% сельскохозяйственных земель составляет пашня. Еще ниже (6,2%) удельный вес многолетних насаждений. Несмотря на малоземелье ТГА в состав сельскохозяйственных угодий входят залежи до 1,6 тыс. га (0,2%). Их наличие бесспорно указывает на низкую культуру земледелия.

Структура сельскохозяйственных земель ТГА отличается от республиканской. Разница в том, что в структуре сельскохозяйственных земель ТГА доля пашни ниже и почти в 1,6 раза превосходит удельный вес многолетних насаждений в республике. Также более низок удельный вес естественных кормовых угодий. Если вспомнить, что ТГА за-

ключает в себе 2 различные по специализации сельскохозяйственные зоны, как: 1. зону пригодного сельского хозяйства гг. Тбилиси и Рустави (Нижнекартлийской низины) и 2. горно-животноводческую зону Восточного Кавказа (Душетский, Тианетский районы), то вполне будет оправдана современная структура сельскохозяйственных земель ТГА.

С особенностями специализации сельскохозяйственных административных районов ТГА связаны их региональные различия и структура сельскохозяйственных земель. Более высоким удельным весом пашни, чем в среднем по агломерации характеризуются Каспский (27,5), Сагареджойский (30,5%), Тетрицкаройский (31,6), Марнеульский (38,4%), Мцхетский (39,3%) и Гардабанский (46,9%) районы. Во многих из них высок также удельный вес многолетних насаждений. Это в Болниссском (7,4%), Сагареджском (7,6%), Гардабанском (8,3%), Марнеульском (9,4%), Мцхетском (18,5%), Каспском (19,2%); что касается Душетского и Тианетского горных районов, где ярко выражена животноводческая направленность сельского хозяйства, то в них удельный вес пашни в структуре сельскохозяйственных земель низок и соответственно составляет 4,2 и 16,7%. Еще более низок удельный вес многолетних насаждений (1,3 и 0,6%).

Несколько иначе выглядит структура сельскохозяйственных угодий на приусадебных участках, где свыше 65% приходится на пашню. Так же высок удельный вес многолетних насаждений (33,0%).

Все это говорит о более интенсивном использовании приусадебных участков. Наиболее интенсивно используют приусадебные земли в Сагареджском и Каспском административных районах, где их доля соответственно составила 65,8 и 60,7%. Это основные районы развития интенсивного земледелия, садоводства и виноградарства. Население, следуя традициям, выращивает виноград, фрукты.

В снабжении населения ТГА продуктами питания наряду с колхозами и государственными хозяйствами принимает участие и частный сектор, продукция которого реализуется на рынках г.г. Тбилиси и Рустави. В районах, расположенных ближе к промышленному ядру агломерации на приусадебных участках больше выращивают овощи, бахчевые культуры, ранний картофель. Поэтому в структуре сельскохозяйственных земель Тетрицкаройского, Марнеульского, Гардабанского и Болниского административных районов преобладает пашня, соответственно составляя 94,1, 82,8, 77,3, 70,4%.

Следовательно, приусадебные участки являются важной базой для обеспечения населения агломерации свежими продуктами питания.

Для выявления эффективности использования сельскохозяйственных земель ТГА был использован показатель выхода валовой продукции на 1 га сельскохозяйственных земель, который в пределах ТГА проявляет резкие региональные контрасты. В первую очередь выделяются Марнеульский, Гардабанский, Мцхетский районы, где сельскохозяйственная территория используется под наиболее интенсивные и высокодоходные технические и овощные культуры, а также многолетние насаждения. Здесь на 1 га сельскохозяйственных угодий выход валовой продукции составил 828—907 руб. (4). Эти районы расположены от ядра агломерации в радиусе 20—40 км. Вторая группа районов-Тетрицкаройский, Каспский, Сагареджойский, Болниский—расположены в радиусе 50—70 км. Здесь выход валовой продукции на 1 га с/х угодий равнялся 539—649 руб. Последнее обусловлено экстенсивным характером земледелия. Третью группу составляют Душетский и Тианетский районы — типичные районы развития отгонно-пастбищного животноводства. Они находятся в радиусе 60—80 км от центра агломерации.

Эти районы характеризуются самыми низкими показателями выхода валовой продукции на 1 га с/х. Здесь он соответственно составляет 122—277 руб.

На основе вышеизложенного можно заключить, что с удалением от центра агломерации значительно снижается степень эффективности использования с/х угодий. В частности, интенсивный вид использования сменяется экстенсивным, т. е. менее эффективным видом.

### 3. ДИНАМИКА СТРУКТУРЫ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ УГОДИЙ

Структура с/х нестабильна. Она изменяется под действием различных природных и социально-экономических факторов, которые обуславливают количественные изменения отдельных с/х угодий, что в свою очередь приводит к структурным сдвигам.

Динамика с/х угодий изучена за 14-летний период — с 1966 по 1980 г. За исследуемый период общая площадь с/х угодий увеличилась на 189,9 тыс. га, т. е. на 40,1%. Рост общей площади с/х угодий в основном происходил за счет пастбищ и многолетних насаждений, площадь которых в 1980 г. увеличилась соответственно на 74,7 и 46,8%. При этом уменьшились площади пашни, залежей и сенокосов. За 14-летний период площадь пашни уменьшилась на 5,6 тыс. га, т. е. на 3,2%. Если учесть, что площадь многолетних насаждений увеличивается за счет пашни, что ведет к интенсификации с/х производства, тогда процесс сокращения пашни в некоторой степени можно признать положительным. Как показали исследования, сокращение площади пашни есть также результат нерационального использования этого вида с/х угодий. В частности, на основе актов передачи земель СМ ГССР выявилось, что только с 1975 по 1980 гг. из переданных г. Тбилиси с/х угодья, при этом 52% пастбища, 44% пашни, более 1% многолетние и обработки склоновых земель современной техникой сокращаются пашня в горной части агломерации и т. д. Сокращение пашни в агломерации является повсеместным процессом. Из 9 административных районов только в 2-х районах (Сагареджском и Мцхетском) отмечено увеличение пашни, в остальных — уменьшение и наиболее резко их площадь сократилась в Каспском, Душетском, Тианетском и Тетрицкаройском районах, составив соответственно к отчетному периоду 72,6; 74,2; 86,3; 89,7%. За исследуемый период среднегодовой абсолютный прирост пашни в агломерации составил (—0,4 тыс. га). В противоположность пашне сокращение залежей положительно сказывается на структуре с/х угодий. Несмотря на уменьшение залежей за этот период на 11,6% (200 га), их площадь в 1,6 тыс. га при наличии обширной урбанизированной зоны все еще остается большой. Самые большие площади залежей находятся в горной зоне (Тианетском районе 0,6 тыс. га) и в зоне, нуждающейся в орошении (Сагареджском районе 0,3 тыс. га).

Незначительно также сократилась площадь сенокосов, составив 93,4% к отчетному периоду. Итогом интенсификации с/х производства агломерации является увеличение площади многолетних насаждений. При общем росте многолетних насаждений за исследуемый период на 46% площадь садов увеличилась на 71%, виноградников — на 29% и других насаждений — на 55%.

Среднегодовой абсолютный прирост площади многолетних насаждений составляет +1,0 тыс. га. Из всех с/х угодий наибольшим приростом площадей отличаются пастбища. За исследуемый период площадь пастбищ увеличилась на 183,3 тыс. га, т. е. на 74,7%. Среднегодовой прирост их составил +14,1 тыс. га.

Увеличение площадей пастбищ в общем земельном фонде агломерации частично происходило механически, путем передачи пастбищ из других районов в долгосрочное пользование. Укрепление кормовой базы животноводства ТГА является первостепенной задачей с/х агломерации, т. к. этим обеспечивается рост животноводческой продукции, так необходимой для снабжения увеличивающегося населения свежим мясом и молочными продуктами. Но это нисколько не оправдывает чрезмерный их рост, который может происходить за счет более интенсивных угодий, скажем пашни.

Особо надо отметить роль г. Тбилиси в трансформации земельных угодий. Достаточно отметить, что с 1975 по 1980 гг. для нужд города было отведено 22,0 тыс. га земель, из них свыше 70% составляли с/х угодья, при этом 52% пастбища 44% пашни, более 1% многолетние насаждения и 3% сенокосы. Результаты расчета показали, что на 100 человек прироста населения Тбилиси приходится 0,4 га изъятых из с/х оборота земель. Если эти темпы прироста сохранятся, то к концу 2000 г. городом Тбилиси дополнительно будет поглощено свыше 8,0 тыс. га земель, что несомненно большой вред принесет сельскому хозяйству агломерации (1). А так как этот процесс неизбежен в условиях высокой урбанизации, то обязательным является усиление интенсификации с/х производства. Для сокращения нецелесообразных переходов земель необходимо усилить контроль за их учетом, а также передавать в несельскохозяйственное пользование менее ценные угодья. В результате вышеотмеченных количественных изменений отдельных с/х угодий произошли и структурные сдвиги.

Для выявления структурных изменений нами был введен коэффициент структурных изменений (КСИ), вычисленный путем соотношения удельного веса отдельных с/х угодий за 1980 г. к 1966 г.

За исследуемый период с 1966 г. по 1980 г. сравнительно усовершенствовалась структура с/х угодий, что проявилось в увеличении общей площади с/х земель удельного веса многолетних насаждений, с одной стороны, и сокращении залежей с другой стороны. Коэффициент структурных изменений по многолетним насаждениям составил 1,1; а по залежам 0,5. Но низкий КСИ по пашне (0,7) и высокий по пастбищам (1,2) свидетельствуют о том, что структура с/х угодий ТГА требует дальнейшего усовершенствования.

Динамика с/х земель отличается региональными особенностями. Так, при общем увеличении с/х угодий в ТГА уменьшилась их площадь в Гардабанском районе на 37,2 тыс. га и в Болниеском районе — на 0,3 тыс. га. Но при этом намного улучшилась структура с/х угодий в этих районах. Так, в Гардабанском районе КСИ по пашне составил 1,4 по многолетним насаждениям — 1,9; по сенокосам — 0,3 и пастбищам — 0,7.

Главным направлением совершенствования структуры с/х угодий ТГА является увеличение площади наиболее ценных, экономически эффективных угодий.

## ЗАКЛЮЧЕНИЕ

Изучение географии земельного фонда ТГА выявило ряд особенностей его использования.

1. Высокий удельный вес с/х угодий и сравнительно низкий процент неиспользуемых в сельском и лесном хозяйствах земель. С/х освоенность территории проявляет региональные особенности, связанные с действием природных и социально-экономических факторов. Наиболь-

шая в Марнеульском, Гардабанском, Сагареджойском районах, расположенных в пределах Нижнекартлийской низины.

2. Структура с/х угодий исходит из специализации сельского хозяйства, заключающейся в удовлетворения запросов населения агломерации в свежих малотранспортабельных продуктах питания—мясе, молочье, продуктах, овощах, картофеле, фруктах. Поэтому в структуре с/х земель ТГА преобладают естественные кормовые угодья и сравнительно высок удельный вес многолетних насаждений, т. е. земля в пределах ТГА используется более интенсивно. Степень интенсивности использования земельных ресурсов снижается к периферии агломерации, о чем свидетельствует повышение в общей площади с/х земель удельного веса пастбищ и сенокосов и значительное снижение роли пашни и многолетних насаждений. Это также подтверждается данными о выходе валовой продукции на 1 га с/х угодий. Ближе к ядру в радиусе до 40 км. агломерации он составляет 828—907 руб., а на периферии — 122—277 руб.

3. В динамике с/х угодий ТГА прослеживается известная в республике тенденция уменьшения площади пашни и увеличения за ее счет многолетних насаждений и пастбищ. Для первого случая это весьма положительная тенденция, так как направлена на интенсификацию с/х производства, что весьма оправдано в условиях низкой землеобеспеченности, чего нельзя сказать о втором случае. Для развития молочно-мясного животноводства в пределах агломерации более эффективным будет не механическое увеличение пастбищных угодий, а интенсификации отрасли, что возможно на базе пашни, путем возделывания кормовых культур. Так что уменьшение пашни надо признать отрицательным явлением.

Все еще большие пахотные массивы отводятся для нужд города Тбилиси. За период с 1975 по 1980 гг. из отведенных для нужд города Тбилиси с/х земель до 44% составляла пашня.

### Кафедра экономической и социальной географии

#### ЛИТЕРАТУРА

- Гачечиладзе Р. Географические аспекты перехода сельскохозяйственных земель в другие виды использования. Тб., 1981.
- Гуджабидзе В. К вопросу делимитации городских поселений. В сб. «Проблемы социальной и экономической географии», М., 1981.
- Джаошивили В. Ш. Урбанизация Грузии. Тб., 1978.
- Мелкадзе В. Региональная структура общественного продукта Грузинской ССР. Тб., 1978.

6. კეკელია, ე. განდელაპი, 6. გენეზანი,  
0. გავაიაუვილი, ე. დიდგირიძე, 3. აბულაძე

სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენების სისტემიზაციის ასახვები  
საქალაქო პლანერულის ფანჯრები

#### რეზიუმე

თუ სასოფლო-სამეურნეო ზონა ხასიათდება ათვისებულობის მაღალი ხარისხით. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების წილად მოდის აგლომერაციის ფართობის თითქმის ნახევარი. სასოფლო-სამეურნეო მიწების სტრუქტუ-

რაში ჭარბობს ბუნებრივი საკვები სავარგულები (67,7%). სახნავი შეადგენს 25,9%-ს, მრავალწლიანი ნარგავები — 6,2%-ს. მიწის ფონდის სტრუქტურა სავსებით შეესაბამება სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციას, რომელიც ძირითადად ემსახურება აგლომერაციის მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას. სასოფლო-სამეურნეო მიწის გამოყენების ხარისხის ეფექტურობა კლებულობს აგლომერაციის ცენტრიდან (სამრეწველო ბირთვიდან) პერიფერიებისაკენ.

N. KEKELIA, E. KANDELAKI, N. GEKHTAN,  
I. MAMAIASHVILI, E. DIDBERIDZE, V. ABULADZE.

**PROBLEMS OF DEVELOPMENT OF AGRICULTURE AND LAND USE  
IN A TERRITORIAL RECREATIONAL COMPLEX (AS EXEMPLIFIED  
BY THE AJARIAN, ABKHAZIAN AND BORJOMI TERRITORIAL  
CREATIONAL COMPLEXES)**

**S u m m a r y**

The notion of territorial-recreational complex (TRC) is defined. Using the materials of the Ajarian and Abkhazian republican and Borjomi regional territorial-recreational complexes, study has been made of (a) the peculiarities of land, (b) the structure of the sowing area and its dynamics over 10 years (1972—1982), (c) the ratio of the agricultural development of the territory; the land provision of the TRC has been calculated and land reserves identified. Further, the branch structure of the agriculture has been studied, the branches of All-Union specialization and those of local significance are characterized, their development largely depending on the recreational function of the territory.

On the basis of Ajarian TRC data, zones with different utilization of lands have been identified: (a) industrial-recreational (Batumi), (b) zone of intensive agriculture, (c) and extensive livestock raising, and (d) zone of cattle-breeding and forest economy.

## შესედულებები კარტოგრაფიის საგანზე

გ. ლ ი პ ა რ ტ ე ლ ი ა ნ ი

კარტოგრაფია იმ უძველეს მეცნიერებათა ჩიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც განვითარების რთული და მრავალფეროვანი გზა განვლეს. საზოგადოებრივ პრაქტიკასთან კავშირი კარტოგრაფიის არსებობის პირობა იყო ყველა დროს. ამ კავშირის საფუძველზე განვითარდა მისი შემეცნებითი არსი და პრაქტიკული საქმიანობის ასაქტები, შეიქმნა კარტოგრაფიული გამოსახულებები ადგილის უმარტივესი გეგმებიდან რთული შინაარსის კომპლექსურ ატლასებამდე ბუნების, მოსახლეობის და მეურნეობის რუკებით. ამჟამად კარტოგრაფიული მეთოდი ინტენსიურად ინერგება დედამიწის შემსწავლელ ყველა მეცნიერებაში. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გარემოზე და კულტურული, მისი ეკოლოგიური ანალიზის, ტერიტორიის მრავალმხრვი შესწავლის დროს, რადგან რუკას არ ყავს კონკურენტი სივრცისეული ინფორმაციის გადმოცემაში.

კარტოგრაფია უძველესი მეცნიერებაა. იგი ისევე ძველია, როგორც ფილოსოფია, მათემატიკა, ასტრონომია, გეოგრაფია. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ კარტოგრაფია უფრო ძველია, ვიდრე გეოგრაფია. ეს მოსაზრება ემყარება დამწერლობის შექმნამდე ქვაზე, ხეზე, თიხის ფირფიტებზე შესრულებულ ნახატებს. მათზე გამოსახულია მდინარეები, მთები, სოფლები, წიაღისეულის მოპოვებისა და სანადირო ადგილები, სავარგულები, ე. ი. ყოველივე ის, რასაც წვდებოდა იმდროინდელი ადამიანის ცნობიერება. ამ გამოსახულებებს თანამედროვე გეოგრაფიული რუკების შორეულ წინაპრებად მიიჩნევენ. უძველესი კარტოგრაფიული გამოსახულებები, რომლებმაც ჩვენს დრომდე მოაღწიეს, შექმნილია ბაბილონსა და ეგვიპტეში ძველი წელთაღრიცხვის III—I საუკუნეებში. საზოგადოების განვითარების ყოველ ეტაპზე კარტოგრაფიული გამოსახულებები საზოგადოების მოთხოვნებს ასახავდნენ. ყოველი ახალი რუკა ათართოებდა წარმოდგენას დედამიწაზე, უფრო მიახლოებულად გამოსახავდა სინამდვილის სურათს. ამ თვალსაზრისით თანამედროვე რუკები ურთულესია შინაარსით და გამომსახველობით, რადგან დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე შედგენილი. „რუკა წარმოადგენს მატერიალური მსოფლიოს სუბიექტურ სურათს, რომელიც შემეცნების განვითარების კალდაკვალ, ადამიანის პრაქტიკული მოლვაზეობის შესაბამისად თანდათან ივსება. ღრმავდება და ადეკვატური ხდება“ (ასლანიკაშვილი, 1968, გვ. 17).

საზოგადოების განვითარების ყველა საფეხურზე რუკებს კარტოგრაფია ქმნიდა. ადრეულ ეპოქაში მას ეს სახელი არ ერქვა, იგი გეოგრაფიად იწოდებოდა. კარტოგრაფიის არსისა და ამოცანების ყველაზე ადრეული განსაზღვრება ეკუთვნის ანტიკური დროის მეცნიერს კლავდიუს პტოლემეს (ჩვენი წელთაღრიცხვის 11 საუკუნე). იგი გეოგრაფიის ამოცანად მიიჩნევდა დედამიწის 8 გეოგრაფია-გეოლოგის შრომები, ტ. 301

კარტოგრაფიულ გამოსახვას. მისი შრომა „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“ თან-  
სებითად რუკათშედგენის წესთა კრებულს წარმოადგენს, შეიცავს მსოფლიოს  
ერთიან რუკას და აგრეთვე მისი ნაწილების 16 რუკას. ანტიკური ხანის სხვა  
მეცნიერებიც „გეოგრაფიაში“ დედამიწის გრაფიკულ გამოსახულებას (რუკას)  
გულისხმობდნენ. ამაზე მიუნიშნებს ცნობილი კარტოგრაფი კ. სალიშჩევი (Ca-  
лищев, 1982, ც. 6), რომელმაც საფუძვლიანად გამოიკვლია კარტოგრაფიის  
განვითარების ისტორია. ამავე მოსახრებას იზიარებს ქართველი გეოგრაფი  
და კარტოგრაფი ა. ასლანიკაშვილი, როდესაც წერს: „ისტორიულად კარტო-  
გრაფია იყო ის, რასაც გეოგრაფია ერქვა“ (ასლანიკაშვილი, 1968, გვ. 229).

შუა საუკუნეებში გეოგრაფია და კარტოგრაფია კვლავ ერთიანი იყო. დი-  
დი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში ახალი ჭვეულებისა და საზღვაო გზების  
აღმოჩენამ გამოიწვია ახალი რუკების შექმნის აუცილებლობა. საჭირო გახდა  
მათემატიკური ხერხების გამოყენება და კარტოგრაფიული პროექციების დამუ-  
შავება, ტერიტორიის აგეგმვა. ასეთი მოთხოვნების პირობებში აღწერილობი-  
თი გეოგრაფიის ჩარჩოებში კარტოგრაფიის ყოფნა შეუძლებელი შეიქნა. გეო-  
გრაფიულ ტექსტებში თავი იჩინა არა მარტო ნანახის აღწერილობამ, არამედ  
რუკის სახით ასახული სინამდვილის ახსნის ცდებმა. განსხვავებულმა ინტე-  
რესებმა ისტორიულად ჩამოყალიბებული გეოგრაფიიდან გამოყო, ერთის  
მხრივ, გეოგრაფია, ხოლო მეორეს მხრივ — კარტოგრაფია, როგორც რუკათ-  
შედგნის პრაქტიკა.

მე-18—19 საუკუნეებში გაძლიერდა ინტერესი დედამიწის ფორმისა და  
ზომების მიმართ. დიდი ყურადღება დაეთმო დედამიწის ცალკეული ნაწილე-  
ბის დაწვრილებით კვლევას და მსხვილმასშტაბიანი რუკების შედგენას. დე-  
დამიწის ზედაპირის გეომეტრიული შესწავლა გეოდეზის ამოცანად იქცა.  
რიგ შემთხვევებში ამ კვლევის შედეგი კარტოგრაფიული ბაზის აგებით და  
მასში ადგილის გამოსახულების ჩახაზვით მთავრდებოდა, რის გამოც გაჩნდა  
აზრი, თითქოს კარტოგრაფია გეოდეზის ნაწილია და მისი ინტერესები კარ-  
ტოგრაფიული ბაზის აგებით, ე. ი. კონკრეტული და შედარებით ვიწრო მათე-  
მატიკური პრობლემით იფარგლება (Салищев, 1976, ც. 14).

მე-19 საუკუნეში გეოგრაფიულული მეცნიერების ჩამოყალიბებასთან მას  
მთლიანად გამოიყო რუკათშედგენის დარგი კარტოგრაფიის სახელწოდებით.  
ამ დროისათვის უკვე არსებობდა მრავალრიცხვანი რუკები და სამეცნიერო-  
ტექნიკური ლიტერატურა ამ რუკების შედგენის შესახებ. კარტოგრაფიის სა-  
ხელწოდება მიიღო რუკათშედგენის პრაქტიკამ და თეორიულმა ცოდნამ რუკათ-  
შედგენის შესახებ.

მე-20 საუკუნის დამდეგს დასახვლეთ ევროპაში, ამერიკაში, რუსეთში შე-  
იქმნა კარტოგრაფიის განსაზღვრების რამდენიმე ვარიანტი. ცნობილი რუსი  
მეცნიერი-გეოდეზისტი, ასტრონომი და კარტოგრაფი, ვ. ვიტკოვსკი იზიარებდა  
საზღვარგარეთ გავრცელებულ იმ აზრს კარტოგრაფიის შესახებ, რომელიც  
მეცნიერებად მიიჩნევდა მის მათემატიკურ ნაწილს, ე. ი. მერიდიანებისა და  
პარალელების ბაზის აგებას, ხოლო ამ ბაზის შესებას გეოგრაფიული შინა-  
არსით — რუკის შედგენის ტექნიკად თვლიდა.

ამ დროისათვის მსოფლიო კარტოგრაფია უკვე ფლობდა მდიდარ ზოგად-  
საკაცობრიო გამოცდილებას რუკების შექმნის, მათი პოლიგრაფიული წარმოე-  
ბისა და გამოყენების შესახებ. კარტოგრაფიის განვითარების ისტორიაც და  
მომავლის პრაქტიკულებიც ამ საკითხებით იფარგლებოდა. ეს, რა თქმა უნდა,

მნიშვნელოვანი იყო პრაქტიკული თვალსაზრისით, რადგან რუკის გამოყენებითი მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ კარტოგრაფიის შემცნებითი არსი, მისი ზოგადი თეორიის საკითხები ჯერჯერობით გამოკვლეული არ იყო.

მე-20 საუკუნის 30-იანი წლებისათვის საბჭოურ კარტოგრაფიულ ლიტერატურაში კარტოგრაფიის საგნის სხვადასხვა განსაზღვრება გაჩნდა. კარტოგრაფიის საგნისა და მისი მეცნიერული საფუძვლების კვლევა მიმდინარეობდა უმაღლესი კარტოგრაფიული განათლების კერებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში, რომლებიც სსრ კავშირში 20—30-იან წლებში შეიქმნა. არსებული განსაზღვრებების კრიტიკული განხილვის საფუძველზე კ. სალიშჩევმა 1939 წელს კარტოგრაფიას უწოდა მეცნიერება გეოგრაფიული რუკის, მისი შედგენისა და გამოყენების მეთოდების შესახებ (Салищев, 1982, с. 13). ეს განსაზღვრება იმდროისათვის პროგრესული იყო, რადგან კარტოგრაფიას არ მიიჩნევდა მხოლოდ ტექნიკურ-საშემსრულებლო დარგად. კ. სალიშჩევი მიუთითებდა, რომ რუკა სინამდვილის გარკვეულ მხარეებს ასახავს, მაგრამ არ ასახელებდა ამ მხარეებს, რის გამოც კარტოგრაფიის საგანი საბოლოოდ მიგნებულად არ ითვლებოდა და გრძელდებოდა პოლემიკა მის ირგვლივ.

60-იან წლებში ა. ასლანიკაშვილმა გამოიკვლია კარტოგრაფიის ეპირიული მასალის შემცნებითი და არა ტექნიკურ-საშემსრულებლო მხარე. ამ გამოკვლევის საფუძველზე მან ახალი, თეორიული განსაზღვრება მისცა კარტოგრაფიის საგანს. „კარტოგრაფია არის მეცნიერება, რომელიც იკვლევს ობიექტური რეალობის საგნებისა და მოვლენების კონკრეტულ სივრცეს მის დროულ ცვალებადობაში და ასახავს სპეციფიკური ნიშნობრივი სისტემით — რუკის ენიო (ასლანიკაშვილი, 1968, გვ. 243). ტრადიციული განსაზღვრებისაგან განსხვავებით აქ მიგნებულია სინამდვილის ის მხარე, რომელიც აისახება ყველა რუკაში. სინამდვილის ეს მხარე არის კონკრეტული სივრცე ანუ მატერიალურ საგანთა ურთიერთგანლაგების წესრიგი. კარტოგრაფიის საგნის ეს განსაზღვრება შესაბამისობაშია მატერიალისტური დიალექტიკის შემცნების თეორიასთან. ამ განსაზღვრებამ დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა და უცხოელ გეოგრაფებსა და კარტოგრაფებს შორის, ვინაიდან კვლევის ამოსავალ ფილოსოფიურ კატეგორიად მიჩნეულია სივრცე-დროის კატეგორია, რომლის საფუძველზეა განვითარებული კარტოგრაფიის ემპირიული მასალის შემცნებითი მხარე, კარტოგრაფიის საგანი, ენა და მეთოდი.

არსებობს კარტოგრაფიის საგნის სხვაგვარი განსაზღვრებებიც და გავება.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კარტოგრაფიული განყოფილება კარტოგრაფიას განსაზღვრავს როგორც მეცნიერებას ყველა სახის რუკების შედგენის შესახებ და მოიცავს ყველა სახის კარტოგრაფიულ სამუშაოს აღილის ავეგმვიდან რუკის ბეჭდვამდე (Салищев, 1982, с. 387). ასეთი განსაზღვრება კარტოგრაფიული სამსახურის მოქმედების ფართო არეალზე უფრო მიუთითებს, ვიდრე ამ მეცნიერების კვლევის საგანზე.

50—60-იანი წლები კარტოგრაფიის განვითარებაში საზღვარგარეთ აღინიშნა ოთხი მნიშვნელოვანი მოვლენით:

- 1) უმაღლესი კარტოგრაფიული განათლების ორგანიზაციით
- 2) კარტოგრაფთა ეროვნული საზოგადოებრივი გაერთიანებების — საზოგადოებების, ასოციაციების, კომიტეტების, კონგრესების დაფუძნებით
- 3) კარტოგრაფიული უურნალების გამოცემით
- 4) საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის შექმნით 1961 წელს.

60-იან წლებში ინგლისა და საფრანგეთში შეიქმნა კარტოგრაფიის საგნის ოფიციალური განსაზღვრებები, რომელთა მიხედვით კარტოგრაფიის ინტერესები დაკავშირებულია რუკების შედგენის მეცნიერულ და ტექნიკურ მხარეებთან ადგილის აგეგმვის, დაკვირვებისა და კვლევის გარეშე, რითაც გამორიცხავს ტოპოგრაფიული, ფოტოგრამეტრიული, გეოლოგიური, ნიადაგური და სხვა სახის გამოკვლევების კავშირს კარტოგრაფიასთან და ამიტომ შეუძლებელია სრულყოფილად ჩაითვალოს. იმავე წლებში საერთაშორისო კარტოგრაფიულმა ასოციაციამ საბჭოთა მეცნიერთა წინადადებებით კარტოგრაფიის საგნის არსებული განსაზღვრებები რუკების შედგენის შესახებ შეავსო რუკების გამოყენების მეთოდების დამუშავებით. ამით კარტოგრაფიის საგნის განსაზღვრება მიუახლოვდა 30-იანი წლებიდან სსრ კავშირში გავრცელებულ განსაზღვრებას რუკების შედგენისა და გამოყენების მეთოდების შესახებ.

60—70-იან წლებში კარტოგრაფიის განვითარებაში პოპულარული გახდა კარტოგრაფიული ნიშნების სემიოტიკური \* ასპექტების კვლევა, შეიქმნა კარტოგრაფიის გრაფოკომუნიკაციური გაეგბა. ეს მიმართულება განსაზღვრა იმან, რომ ყოველი კარტოგრაფიული გამოსახულების სივრცით-დროული ინფორმაციის გადაცემა ხდება გრაფიკული სიმბოლოების ხელოვნური ენით, ე. წ. კარტოგრაფიული პირობითი ნიშნების სისტემით ანუ რუკის ენით.

რუკის ენა კარტოგრაფიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბდა როგორც საზოგადოებისა და კარტოგრაფიის ურთიერთობის საშუალება. რუკის ენის, როგორც კომუნიკაციის საშუალების კვლევამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, რაც რუკის ინფორმაციულობისა და ინფორმაციის გადაცემის ეფექტურობის განსაზღვრა შესაძლებელი გახდა კარტოგრაფიაში ინფორმაციის თეორიის ცნებებისა და მეთოდების გამოყენებით.

რუკის ენის სემიოტიკური ასპექტები აისახა კარტოგრაფიული სემიოტიკის მამამთავრის ფრანგი კარტოგრაფის ჟ. ბერტენის, გერმანელი უ. ფრეიტაგის, ავსტრიელი ე. არნბერგერის, პოლონელი ლ. რატასკის, სლოვაკი ი. პრავდას, საბჭოთა კარტოგრაფების ა. ასლანიევის, მ. ბოჩაროვისა და ა. ლიუტის შრომებში (ასლანიაშვილი, 1974, ც. 38-51; ბოცაროვი, 1966; კარტოგრაფია. ვაკ. I; ვაკ. 2, 1983; ლიტერატურა, 1976, 1981).

ცნობილი შვეიცარელი კარტოგრაფის ე. იმპოფის აზრით რუკა უნდა იყოს სადა და გამომსახველი. 1965 წელს მან დააყენა რუკის გრაფიკული საშუალებების რეფორმის საკითხი, რათა რუკა არ შეიცავდეს იმაზე მეტს, რასაც ვერ წაიკითხავს ჩვეულებრივი შესაძლებლობების მკითხველი.

ჟ. ბერტენი და ე. არნბერგერი კარტოგრაფიის უმთავრეს ამოცანად მიიჩნევენ გამოსახვის გრაფიკული ფორმების სრულყოფას. ისინი იკვლევენ რუკის ენას და თვით რუკას გრაფიკული სემიოტიკისა და გამოსახულების აღმის პოზიციებიდან. მათი ყურადღების ცენტრშია კარტოგრაფიული ნიშნების ფორმა, ფერი, ზომა, ორიენტაცია, ტონალობა, შინაგანი სტრუქტურა. ისინი ავითარებენ ნიშნობრივ სისტემებს და ოპერატორულ კარტოგრაფიებას „საქმიანი პრაქტიკის“ მოთხოვნების შესაბამისად. ჟ. ბერტენი საჭიროდ მიიჩნევს კარტოგრაფიული ნიშნების სტანდარტიზაციას და უნიფიკირებას, ერთიანი

\* სემიოტიკა არის მეცნიერება ბუნებრივი და ხელოვნური ენების ნიშნებისა და ნიშნობრივი სისტემების შესახებ.

ათვლის სიცრუითი სისტემის, მასშტაბების, პროექციების, ტოპოგრაფიული და თემატიკური პირობითი ნიშნების შემოღებას, რაც ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას რუკების შედგენისა და რუკით სარგებლობის პროცესში, უკეთეს პირობებს ქმნის კარტოგრაფიული ავტომატიზაციის გამოყენებისათვის, აადგილებს კარტოგრაფიული ინფორმაციის გაცვლას ქვეყნებს შორის, აუმჯობესებს საერთაშორისო კარტოგრაფიულ თანამშრომლობას.

ინფორმაციის ეფექტური გადაცემისა და მკითხველისათვის აღქმის კარგი პირობების შექმნის საჭიროებასთან დაკავშირებით შეიქმნა კარტოგრაფიული დიზაინის ცნება.

რუკის ენა მატერიალისტური დიალექტიკის შემეცნების თეორიის საფუძველზე კარტოგრაფთა შორის პირველად გამოიკვლია ა. ასლანიკაშვილმა, (ასლანიკაშვილი, 1968, გვ. 19—44).

70-იანი წლებიდან საზღვარგარეთ, ავსტრიაში, ჩეხოსლოვაკიაში, აშშ-ში, ინგლისში, პოლონეთში კარტოგრაფიას განიხილავენ როგორც ინფორმატიკის დარგს, რომლის მიზანია შინაარსში ჩატვდომმაღლად ინფორმაციის მიღება, გარდაქმნა, გადაცემა და სამისო გრაფიკული და ტექნიკური საშუალებების სრულყოფა. ასეთი კომუნიკაციური შეხედულება კარტოგრაფიაზე საკმაოდ პოპულარული გახდა იმის გამო, რომ ასახავს რუკის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას — სივრცისეული ინფორმაციის შენახვასა და გადაცემას. რუკის ამ უნიკალურმა თვისებამ — ინფორმაციის შენახვა-გადაცემამ — შემოუნახა კაცობრიობას ცოდნა წარსულის საგნებისა და მოვლენების განლაგების, მდგომარეობის, ურთიერთოვაგშირებისა და დინამიკის შესახებ. ამ შეხედულების პოპულარიზაცია განაპირობა აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაღალმდონეობა — მათემატიკური აპარატის, ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკისა და კარტოგრაფიული ავტომატიკის გამოყენების შესაძლებლობამ. კარტოგრაფი თითქოსდა განთავისუფლდა ინფორმაციის შინაარსში წვდომის საჭიროებისაგან, მანქანას მიანდო რუკის სხვადასხვა ვარიანტის შექმნა, ხოლო მომხმარებელს — ამ ვარიანტებიდან — მისთვის საუკეთესოს ამორჩევა. რუკა გადაიქცა პირობით ნიშნებში კოდირებული სივრცისეული ინფორმაციის გადამტებ ტექნიკურ არხად, რომელიც მკითხველს აწევდის იმავე მოცულობის ინფორმაციას, რაც რუკის შესადგენად იყო გამოყენებული.

კომუნიკაციური კონცეფციის პოპულარობის შედეგად 1972 წელს საერთაშორისო კარტოგრაფიულ ასოციაციასთან შეიქმნა მეცნიერებული კომისია „კომუნიკაცია კარტოგრაფიაში“. კომისიის წინაშე დაისახა შემდეგი ამოცანები:

1. რუკის ენის ძირითადი პრინციპების დამუშავება.
  2. კომუნიკაციის ეფექტურობისა და ქმედითობის შეფასება რუკების მეშვეობით მომხმარებელთა განსხვავებული ჯგუფებისათვის
  3. კარტოგრაფიული კომუნიკაციის თეორიის დამუშავება.
- კომისიის ამჟამად გარდაცვლილმა თავმჯდომარებრ პოლონელმა ლ. რატაის-კიმ შექმნა კარტოლოგიის კონცეფცია ორი ასპექტით:
1. თეორიული, რომელიც იკვლევს კარტოგრაფიული ინფორმაციის გადაცემისა და ფუნქციონირების პროცესს
  2. პრაქტიკული, რომელიც იკვლევს ამ პროცესის გამოსახვის პრინციპებს და მეთოდებს.

ლ. რატაისკი კარტოლოგის მიჩნევს კარტოგრაფიის ფუნქციონალურ სისტემად, რომელიც განსაზღვრავს კარტოგრაფიის მეცნიერულ პრობლემებს

და შეიძლება საფუძვლად დაედოს კარტოგრაფიის თეორიას (Ратанский 1983, с. 17—33). საბჭოთა მეცნიერები აქტივური ამ მოსაზრებას (Берлянт, 1975, с. 138—144, Салищев, 1978, с. 10—16) და თვლიან, რომ კარტოლოგია არ შეიძლება იყოს კარტოგრაფიის თეორიული საფუძველი კომუნიკაციური გაგების ნაკლოვანი მხარეების გამო.

კარტოგრაფიული ინფორმაციის გადაცემის სქემები, რომლებიც ეკუთვნით ჩეხოსლოვაკელ კარტოგრაფს ა. კოლახნის და ლ. რატაისკის, ოთხი მთავარი კომპონენტისაგან შედგება: სინამდვილე, სუბიექტი — კარტოგრაფი, რუკა, სუბიექტი — რუკის მკითხველი. ეს კომპონენტები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან არხებით, რომელებშიც მიედინება კარტოგრაფიული ინფორმაცია. რუკიდან ამოკითხული ინფორმაციითა და რუკის მკითხველის ცოდნით იქმნება წარმოდგენა სინამდვილეზე. გადაცემის პროცესში ინფორმაციის დაკარგვის გამო რუკიდან ამოკითხული ინფორმაცია ნაკლებია იმაზე, რაც რუკის შედგენელს გააჩნდა რუკის შედგენის მომენტში. კარტოგრაფიული კომუნიკაციის ამგვარი გაგება მთლიანად გამორიცხავს რუკის შექმნისა და გამოყენების პროცესში ინფორმაციის გაზრდის მომენტს. არ ხერხდება იმის ახსნა, რომ რუკის ინფორმაციულობა განისაზღვრება არა მარტო რუკაზე დატანილი კარტოგრაფიული ნიშნების რაოდენობით, არამედ გამოსახული მოვლენების ურთიერთობაზე. ამიტომ კომუნიკაციური (ინფორმაციული). გაგების არსებით ნაკლად რჩება რუკის შემეცნებითი მნიშვნელობის უგულებელყოფა.

კარტოგრაფიის კომუნიკაციური გაგება გააკრიტიკეს საბჭოთა მეცნიერება საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის მე-6 კონფერენციაზე ქ. ოტავაში 1972 წელს, მე-10 კონფერენციაზე — 1980 წელს და პერიოდულ ურნალებში (Салищев, 1973, с. 3—12, 1975, с. 3—10; Берлянт, 1975, с. 138—144).

კარტოგრაფიის კომუნიკაციურ გაგებას აკტივური კარტოგრაფი ა. რობინსონი და ბ. პეტერინი (Robinsoн, Петченик 1983, с. 34—51), კანადელი კარტოგრაფი ლ. გუელკე (Гуелке, 1983, с. 37—50). ლ. გუელკე მიუთითებს, რომ მართალია, რუკა თანდათან იქნებს ყველა სახის სივრცისეული ინფორმაციის გადაცემის შესაძლებლობას (ტეინის რუკებიდან სხვა პლანეტების რუკებამდე), რაც ინფორმაციული გაგებით კარტოგრაფიას უკარგავს გეოგრაფიასთან და დედამიწის შემსწავლელ სხვა მეცნიერებებთან კავშირის აუცილებლობას, მაგრამ საუკუნეების მანძილზე გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის ტრადიციული ერთიანობა რუკის შემეცნებითმა მნიშვნელობამ განაპირობა.

70-იანი წლების დამლევიდან სასლვარგარეთ შეიმჩნევა კარტოგრაფიის კომუნიკაციური გაგების ერთგვარი შემობრუნება შემეცნებითი გაგებისაკენ, მაგრამ არა კომუნიკაციური გაგების უარყოფის, არამედ რუკის შემეცნებითი მნიშვნელობის აღიარების გზით. კომუნიკაციის კომისიის აქლანდელი თავმჯდომარე ინგლისელი კ. ბორდი 1981 წელს გამოცემულ შრომაში „კარტოგრაფიული კომუნიკაცია“ დაწვრილებით განიხილავს კარტოგრაფიული კომუნიკაციის სხვადასხვა მოდელს, რუკის ენის მოდელირების საკითხებს, კარტოგრაფიული კომუნიკაციის სტილს, აღამიანისა და ტექნიკის ურთიერთობებს, მეცნიერებას (Салищев, 1982, с. 45).

საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის პრეზიდენტი პოლანდიელი ფ. ორმელინგი კარტოგრაფიას განიხილავს როგორც მეცნიერებას ტოპოგრაფიული ინფორმაციის გრაფიკული გადაცემის თეორიისა და მეთოდების შესახებ (Салищев, 1982, с. 43).

საბჭოურ კარტოგრაფიაში კომუნიკაციურ გაგებას იზიარებს მ. ბოჩაროვი. მისი აზრით კარტოგრაფია არის მეცნიერება ინფორმაციის გადაცემის კარტოგრაფიული ფორმის შესახებ (Бочаров, 1966).

კარტოგრაფიის კომუნიკაციურ (ინფორმაციულ) გაგებას მრავალი საინტერესო მხარე და კვლევის საერთო ასპექტი აქვს გრაფოკომუნიკაციურ გაგებასთან. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კარტოგრაფიული ნიშნების სრულყოფას, ინფორმაციის ეფექტურ გადაცემას, კარტოგრაფიული ინფორმაციის აღქმის თავისებურებებს, გადაცემის პროცესში ინფორმაციის დაკარგვის შემცირების გრაფიკული და ტექნიკური საშუალებების ძიებას და სხვა. აღნიშნული საკითხების დამუშავებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კარტოგრაფიის თეორიული, მეთოდური და პრაქტიკული საკითხების კვლევა, უფრო მჭიდრო გახდა კარტოგრაფიის კავშირი სემიოტიკასთან, საინჟინრო ფსიქოლოგიასთან და ინფორმაციის თეორიასთან.

ინფორმაციის მიღება-გადაცემის და კარტოგრაფიული ინფორმაციის აღქმის საკითხების კვლევამ განსაზღვრა კარტოგრაფიის კავშირი ფსიქოლოგიასთან ორი მიმართულებით:

1) საინჟინრო ფსიქოლოგიის ასპექტით — ინფორმაციის გადაცემის პროცესების ოპტიმიზაცია ავტომატიზებული წარმოების პირობებში

2) თეორიული ფსიქოლოგიის ასპექტით — რუკის მეშვეობით სინამდვილის შემცნებისა და აღქმის ფსიქოლოგიური პროცესების შესწავლა (Салищев, 1982, с. 91).

კარტოგრაფიის კომუნიკაციურ (ინფორმაციულ) გაგებას საბჭოთა კავშირში დაცირისპირდა კარტოგრაფიული მეთოდისა და კარტოგრაფიული მოდელირების თეორია. იგი ემყარება შემცნების დიალექტიკურ-მატერიალისტურ თეორიას, რომელიც შემცნების პროცესს განიხილავს როგორც ადამიანის ცნობიერებაში მატერიალური სინამდვილის ასახვის პროცესს. შემცნების პრინციპები და მეთოდები საყოველთაო ხასიათისაა და კონკრეტულ ხასიათს იძენენ ყველა კერძო მეცნიერებაში, მათ შორის კარტოგრაფიაში. ყოველი შეცნიერება შესწავლის სინამდვილის გარკვეულ მხარეს და ამისათვის იყენებს საკუთარ მეთოდს, რომელიც წარმოადგენს არსებულ და საზოგადოებრივი პრაქტიკით შემოწმებულ კოდნას და შეიძლება მომარჯვებული იქნეს ახალი ცოდნის მისაღებად.

კარტოგრაფიული მეთოდი კარტოგრაფიის საგნის განსაზღვრებაში აისახა ჯერ კიდევ 30-იან წლებში, როდესაც კარტოგრაფიას ეწოდა მეცნიერება რუკების შედგენისა და გამოყენების მეთოდების შესახებ. აღნიშნული საკითხის გაღრმავებული კვლევა ექუთვნის კ. სალიშჩევს 40-იანი წლების დამლეკადან დღემდე, ა. ასლანიკაშვილს — 60—70-იან წლებში, ა. ბერლიანტს — 70—80-იან წლებში.

კარტოგრაფიული მეთოდი ის საშუალებაა, რომლითაც კარტოგრაფია შეისწავლის თავისი კვლევის საგანს, შესწავლის შედეგს კი რუკებში ასახავს სპეციფიკური ნიშნობრივი სისტემით ანუ რუკის ენით.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე კარტოგრაფია უფრო ნაყოფიერად ავითარებდა თავისი მოღვაწეობის პრაქტიკულ მხარეს, ვიდრე თეორიულს. ამას ხელს უწყობდა კარტოგრაფიის საგნის ტრადიციული გავება, კარტოგრაფიის საგნად გეოგრაფიული რუკის, მისი შედგენისა და გამოყენების მეთოდების მიჩნევა. ამასთან დაკავშირებით აქტიური განვითარება პოვა კვლევის კარტოგრაფიულმა მეთოდმა, დამუშავდა რუკის ვიზუალური და გრაფიკული ანალიზის, კარტომეტრიული კვლევის, მათემატიკურ-სტატისტიკური ანალიზის, მათემატიკური მოდელირების ხერხები, მათი მეშვეობით — რუკიდან, როგორც კარტოგრაფიული მოდელიდან, ახალი ცოდნის მიღების მეთოდური ხერხები და ტექნიკური საშუალებები.

ყოველდღიურად მსოფლიოში დიდძალი რუკა, ატლასი და ოპერატიული კარტოგრაფიული მასალა იქმნება. აეროკოსმოსური გადაღების განვითარებას მოყვა დისტანციური ინფორმაციის ნაკადი, რომლის კარტოგრაფიულ ფორმად გარდაქმნა და გამოყენება მხოლოდ კარტოგრაფიული მეთოდით არის შესაძლებელი.

კვლევის კარტოგრაფიულ მეთოდს ავითარებენ არა მარტო კარტოგრაფები, არამედ გეოგრაფები, გეოლოგები და სხვა დარგის სპეციალისტები. კარტოგრაფების ამოცანაა დაამუშაონ რუკების გამოყენების ზოგადი პრინციპები, ერთიანი მეთოდოლოგია, კერძო მეცნიერებების წარმომადგენლები კი ამუშავებენ მეთოდებს, რომლებიც ამა თუ იმ კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად არის საჭირო. მათი ერთობლივი მოქმედებით იქმნება რუკები და ხდება მათი გამოყენების მეთოდების სრულყოფა.

60-იანი წლებიდან კარტოგრაფიის თეორიის საკითხების კვლევამ და კარტოგრაფიის კვლევის საგნად ობიექტური რეალობის საგნებისა და მოვლენების კონკრეტული სივრცის აღიარებამ ა. ასლანინიშვილს შესაძლებლობა მისცა პირველად კარტოგრაფიულ ლიტერატურაში გაეშუქებინა კარტოგრაფიული მეთოდის შემეცნებითი არსი (1968, 1973, 1974). ამ გამოკვლევას საფუძვლად დაედო დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების საშუალებებიდან უზოგადესი ფორმების — შედარების, ანალიზისა და სინთეზის, აბსტრაქტირებისა და განზოგადების, მეცნიერული მოდელირების კარტოგრაფიული ფორმების გამოყენება სინამდვილის შემეცნების პროცესში რუკის ენით.

80-იანი წლებისათვის საბჭოურ კარტოგრაფიულ ლიტერატურაში მკაფიოდ გამოიკვეთა კარტოგრაფიული მეთოდის ორი მხარე — შემეცნებითი და გამოყენებითი:

1) შემეცნებითი — ობიექტური სინამდვილის გარკვეული მხარეების შემეცნება და შემეცნების შედეგის რუკაში ასხვა, როგორც ორსაფეხურიანი საველე და კამერალური კარტოგრაფირების პროცესი. საველე კარტოგრაფირებით იქმნება პირველადი რუკები უშუალოდ ობიექტური სინამდვილიდან მიღებული ინფორმაციით. კამერალური კარტოგრაფირებით იქმნება ე. წ. წარმოებული რუკები არსებული პირველადი რუკების ინფორმაციის გადამუშავებისა და სრულყოფის გზით. ორივე საფეხურზე რუკას ქმნის კარტოგრაფი.

2) გამოყენებითი — რუკების გამოყენება მათში ასახული სინამდვილის მოვლენებისა და პროცესების შემეცნებისათვის, როგორც საზოგადოებრივი პრაქტიკისა და კარტოგრაფიის კავშირის მაჩვენებელი. რუკის მომხმარებლის როლში გამოდიან კარტოგრაფები და სხვა დარგის სპეციალისტები.

კარტოგრაფიული მეთოდის ორივე მხარის — შემეცნებითის და გამოყენებითის — თეორიისა და მეთოდოლოგიის დამუშავების პრიორიტეტი ეკუთვნის საბჭოთა მეცნიერებს (ასლანიკაშვილი, 1968; ასლანიკაშვილი, 1974; ბერლინი, 1971, 1978, 1983, с. 3—8; სალიცევ, 1975, с. 3—10, 1982, с. 261—293).

კარტოგრაფიული მეთოდისა და კარტოგრაფიული მოდელირების ფუნქციონირება გადმოცემულია ა. ასლანიკაშვილისა (1968, გვ. 206) და კ. სალიშჩევის (1976, გვ. 287; 1982, გვ. 263) სქემებში.

ა. ასლანიკაშვილის მიხედვით მოდელის დახმარებით განხორციელებულ შემეცნების პროცესში სინამდვილე ორგერ აისახება: ერთი — სინამდვილის პირველადი აღქმის ხატის საფუძველზე შექმნილ მოდელში ანუ რუკაში, — მეორე — მოდელის მეშვეობით მეორადი აღქმის ხატის საფუძველზე შექმნილ სინამდვილის ანასახში. მეორადი აღქმის ხატი უფრო მეტად ჰეშმარიტია, ვიღრე პირველი, რადგან იგი მოდელისეული ახალი ცოდნის საფუძველზე იქმნება. მეორადი ხატი იმდენი შეიძლება იყოს, რამდენი მომხმარებელიც ყავს მოდელს. მოდელის აღქმით შექმნილი მეორადი ხატები იგივეობრივი არ არის, დამოკიდებულია მომხმარებლის ცოდნასა და გამოცდილებაზე, მაგრამ ცოდნის გარკვეული ნაწილი, როგორც კვლევის, ობიექტისეული, ყველა ხატში შედის ობიექტური ჰეშმარიტების სახით.

